საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის

ბრძანება

2021 წელი 29 ივნისი

№ 87/04

თბილისი

სს „კრედო ბანკისა“ (ს/ნ: 205232238) და სს „ფინკა ბანკი საქართველოს“ (ს/ნ: 205235262) - შორის განსახორციელებელი კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანულის კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, ამავე კანონის 47^8 მუხლის, „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის, მე-11 მუხლის მე-3 პუნქტის, 11^1 მუხლის პირველი, მე-4, მე-6 და მე-8 პუნქტების, 11^2 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების, 31-ე მუხლის პირველი და მე-7 პუნქტების, „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის (ვებგვერდი, 21/09/2020, სარეგისტრაციო კოდი: 240140000.05.001.020181) მე-2 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, „კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 26 ოქტომბრის №39 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-8 მუხლის მე-9 პუნქტისა და მე-16 მუხლის, „ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის №37 ბრძანებით დამტკიცებული მითითებების მე-10 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს გადაწყვეტილება სს „კრედო ბანკისა“ (ს/ნ: 205232238) და სს „ფინკა ბანკი საქართველოს“ (ს/ნ: 205235262) შორის განსახორციელებელი კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ თანდართული სახით.

2. სს „კრედო ბანკის“ (ს/ნ: 205232238) მიერ სს „ფინკა ბანკი საქართველოს“ (ს/ნ: 205235262) 100% წილის შეძენის გზით განსახორციელებელი კონცენტრაცია მიჩნეულ იქნეს კონკურენტულ გარემოსთან თავსებადად.

3. გადაწყვეტილება გაეგზავნოთ საქართველოს ეროვნულ ბანკში შეტყობინების წარმომდგენ ეკონომიკურ აგენტს.

4. გადაწყვეტილება მისი მიღებიდან 7 დღის ვადაში გამოქვეყნდეს საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალურ ვებ-გვერდზე ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვით.

5. გადაწყვეტილება მისი მიღებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვით გადაეგზავნოს სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს“.

6. ამ ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრი N64).

7. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

კ.გვენეტაძე

გადაწყვეტილება

სს „კრედო ბანკისა“ და სს „ფინკა ბანკი საქართველოს“ შორის განსახორციელებელი კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ

I. ფაქტობრივი გარემოებები

საქართველოს ეროვნულ ბანკში 2021 წლის 31 მაისის წერილით შემოვიდა შეტყობინება ეკონომიკურ აგენტთა სს „კრედო ბანკისა“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 205232238) და სს „ფინკა ბანკი საქართველოს“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 205235262) - კონცენტრაციის თაობაზე.

შეტყობინება მოიცავდა საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 26 ოქტომბრის №39 ბრძანებით დადგენილი ფორმით მოთხოვნილ ინფორმაციას კონცენტრაციის შესახებ, მათ შორის კონცენტრაციის ფორმის, მიზნის, დეტალური აღწერისა და მასში მონაწილე ეკონომიკური აგენტების მახასიათებლების თაობაზე.

შეტყობინებას თან ახლდა შემდეგი დანართები:

- კონცენტრაციის განხორციელების ეტაპები;
- 2020 წლის დეკემბრისა და 2021 წლის თებერვლის ინფორმაცია საბანკო სექტორის ბაზრის სეგმენტებსა და კონცენტრაციის თაობაზე;
- კონცენტრაციის შედეგად ფინანსური განვითარების დეტალური პროექტი მომდევნო 24 თვის მანძილზე;
- კონცენტრაციაში მონაწილე ეკონომიკური აგენტების 2020 წლის ბოლოს მდგომარეობით ფინანსური ინფორმაცია.

ორივე ეკონომიკური აგენტი წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებულ კომერციულ ბანკს. შესაბამისად, მათი საქმიანობის სფეროს წარმოადგენს საბანკო საქმიანობა.

წარმოდგენილი დოკუმენტაციით ირკვევა, რომ კონცენტრაციის ფორმა არის *შეძენა.* შესაბამისი გარიგების საფუძველზე სს „კრედო ბანკი“ შეიძენს სს „ფინკა ბანკი საქართველოს“ აქციების 100%-ს, რის შედეგადაც მოხდება მათი *შერწყმა* 2021 წლის ბოლომდე.

როგორც წარდგენილ შეტყობინებაშია აღნიშნული, კონცენტრაციის მიზანია საბანკო სექტორისთვის კიდევ უფრო მდგრადი და კონკურენტული საბანკო პროდუქტებისა და სერვისების შეთავაზება. რადგან კონცენტრაციის მხარეებს ჰყავთ მსგავსი სეგმენტის კლიენტები, ხოლო სს „კრედო ბანკს“ უფრო მრავალფეროვანი საკრედიტო და საცალო პროდუქტები გააჩნია, აღნიშნული მხარე თვლის, რომ გაუმარტივდება და უფრო ეფექტურად შეძლებს სს „ფინკა ბანკი საქართველოს“ კლიენტების მომსახურებას.

უფრო კონკრეტულად, დაგეგმილი კონცენტრაციის მხარეებზე:

- სს „კრედო ბანკის“ აქციათა 51.2%-ის მფლობელია გერმანიაში დაფუძნებული საინვესტიციო კომპანია Access Microfinance Holding Company AG ("AccessHolding"). 15%-ის მფლობელია ეკონომიკური თანამშრომლობის ხელშეწყობისა და განვითარების საზოგადოება „PROPARCO“. Legal Owner Triodos Funds B.V. და Triodos SICAV II-Tríodos Microfinance Fund თითოეული ფლობს ბანკის აქციათა 8.4%-ს. ResponsAbility Participations AG აქციების 7.9%-ის მფლობელია, ხოლო ResponsAbility Global Micro and SME Finance Fund და ResponsAbility SICAV (Lux) (Micro and SME Finance Leaders) ფლობენ 7.5% და 1.6%-ს შესაბამისად.
- სს „ფინკა ბანკი საქართველოს“ 100%-ს ფლობს FINCA Microfinance Cooperatief U.A., რომელიც რეგისტრირებულია ჰოლანდიაში. კოოპერატივის წევრები არიან: FINCA Microfinance Holding Company LLC (FMH), რომელიც რეგისტრირებულია ამერიკის შეერთებულ შტატებში, ფლობს ხმის მიცემის 99%-ის უფლებას და FINCA International LLC, რომელიც ასევე რეგისტრირებულია ამერიკის შეერთებულ შტატებში და ფლობს ხმის მიცემის 1%-იან უფლებას. ბანკის ბენეფიციარები, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ფლობენ 5%-ს ან მეტ წილს არიან: FINCA International Inc. - 66%, რომელიც წარმოადგენს არაკომერციულ კორპორაციას; IFC – 14%; KfW – 9%; FMO – 7%.

სს „კრედო ბანკი“ თვლის რომ კონცენტრაცია დადებითად იმოქმედებს საბანკო სექტორში კონკურენციაზე, რადგან მოცემული კონცენტრაციის შედეგად გაძლიერდება სს „კრედო ბანკი“, რაც საშუალებას მისცემს უფრო დამაჯერებელი კონკურენცია გაუწიოს ბაზარზე მოქმედ მსხვილ კომერციულ ბანკებს.

შეტყობინებაში სს „კრედო ბანკი“ ადასტურებს, რომ მის მიერ საქართველოს ეროვნულ ბანკში წარმოდგენილი ინფორმაცია უტყუარი და ზუსტია.

წარმოდგენილი შეტყობინება მიჩნეულ იქნა დასაშვებად.

II. სამართლებრივი მიმოხილვა

წინასწარ შეტყობინებას დაქვემდებარებული კონცენტრაციის შეტყობინების წარდგენის, განხილვისა და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გადაწყვეტილებების მიღების საკითხები რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, კერძოდ: „კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონით (უფრო კონკრეტულად, ეკონომიკის რეგულირებად სფეროზე ვრცელდება კონცენტრაციასთან დაკავშირებული შემდეგი დებულებების მოქმედება: მე-11 მუხლის პირველი–მე-8 პუნქტები და 11[1] მუხლის პირველი, მე-2, მე-4 და მე-6–მე-12 პუნქტები. ამასთან, 11[1] მუხლის მე-13 და მე-14 პუნქტებსა და 11[2] მუხლს ეკონომიკის რეგულირებადი სფეროს მარეგულირებელი ორგანო - საქართველოს ეროვნული ბანკი - მხოლოდ იმ შემთხვევაში იყენებს, თუ სპეციალური კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული), „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით, „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით და სხვა. აღსანიშნავია, რომ „კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" საქართველოს კანონის (დოკუმენტის ნომერი: 7126-Iს) მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის გათვალისწინებით, ეკონომიკის რეგულირებადი სფეროსთვის განსაზღვრულ გარდამავალ პერიოდში (2021 წლის 1 ივნისამდე[1]) ეკონომიკის რეგულირებად სფეროში კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების განხილვისას ეკონომიკის რეგულირებადი სფეროს მარეგულირებელი ორგანო ხელმძღვანელობს „კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე მიღებული სამართლებრივი აქტებით, თუ ეკონომიკის შესაბამისი რეგულირებადი სფეროს მომწესრიგებელი სპეციალური კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ კონცენტრაციის შეტყობინების განხილვის მარეგულირებელი სპეციალური კანონმდებლობა, კერძოდ კი, „ბაზრის ანალიზისა და კონცენტრაციის შესახებ შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2021 წლის 28 მაისის №68/04 ბრძანებით (შემდგომში - ბრძანება) დამტკიცებული „ბაზრის ანალიზისა და კონცენტრაციის შესახებ შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესი", ამოქმედდა 2021 წლის 1-ლი ივნისიდან. ამ ბრძანების მე-2 მუხლის მიხედვით, ბრძანების ამოქმედებამდე საქართველოს ეროვნულ ბანკში წარდგენილი კონცენტრაციის შეტყობინების განხილვა უნდა გაგრძელდეს ბრძანების ამოქმედებამდე დადგენილი წესით. შესაბამისად, ვინაიდან

[1] „კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" საქართველოს კანონის (დოკუმენტის ნომერი: 7126-Iს) მე-2 მუხლის პირველი პუნქტი.

კონცენტრაციასთან დაკავშირებით საქართველოს ეროვნული ბანკის შეტყობინება განხორციელდა ბრძანების ამოქმედებამდე, 2021 წლის 31 მაისს, საქართველოს ეროვნული ბანკი ხელმძღვანელობს „კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 26 ოქტომბრის №39 ბრძანებითა (შემდგომში - „კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესი“) და „ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის №37 ბრძანებით (შემდგომში - „ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებები“) დამტკიცებული წესებით.

ვინაიდან კონცენტრაციის მონაწილე ორივე მხარე საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ რეგულირებადი სფეროს ეკონომიკური აგენტია, „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის 11^2 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, შეტყობინება წარედგინება რეგულირებადი სფეროს მარეგულირებელ ორგანოს - საქართველოს ეროვნულ ბანკს.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ვინაიდან, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ 2021 წლის 1-ლი ივნისიდან მიღებულ იქნა კონცენტრაციის შეტყობინების განხილვის მარეგულირებელი სპეციალური კანონმდებლობა, ხოლო კონცენტრაციის განაცხადი 2021 წლის 31 მაისს შემოვიდა, საქართველოს ეროვნული ბანკი ხელმძღვანელობს „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონითა და კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის შესაბამისი აქტებით. კერძოდ, გათვალისწინებულ იქნა შემდეგი მოთხოვნები:

1. „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით განსაზღვრული კონცენტრაციის განმარტება კერძოდ, „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „კონცენტრაცია არის:

   ა) ორი ან ორზე მეტი დამოუკიდებელი ეკონომიკური აგენტის შერწყმა, რის შედეგადაც ერთი ეკონომიკური აგენტი წარმოიქმნება;

   ბ) ფასიანი ქაღალდების ან წილის შეძენით, ხელშეკრულებებით ან სხვა საშუალებებით ერთ ან რამდენიმე ეკონომიკურ აგენტზე პირდაპირი ან ირიბი, სრული ან ნაწილობრივი კონტროლის მოპოვება სხვა ერთი ან რამდენიმე ეკონომიკური აგენტის მიერ ან სხვა ისეთი ერთი ან რამდენიმე პირის მიერ, რომელიც/რომლებიც ამ კანონის მიზნებისთვის არ არის/არ არიან მიჩნეული ეკონომიკურ აგენტად/ეკონომიკურ აგენტებად და რომელიც/რომლებიც უკვე აკონტროლებს/აკონტროლებენ სულ მცირე ერთ ეკონომიკურ აგენტს;

   გ) ერთობლივი საწარმოს შექმნა, თუ იგი ხანგრძლივად ასრულებს დამოუკიდებელი ეკონომიკური აგენტის ყველა ფუნქციას.“;

ზემოაღნიშნულის შესაბამისად, წარმოდგენილი დოკუმენტაციით ირკვევა, რომ კონცენტრაციის ფორმა არის შეძენა. შესაბამისი გარიგების საფუძველზე სს „კრედო ბანკი“ შეიძენს სს „ფინკა ბანკის საქართველოს“ აქციების 100%-ს, რის შედეგადაც მოხდება მათი შერწყმა 2021 წლის ბოლომდე, **ამდენად, აღნიშნული კონცენტრაცია კანონმდებლობით განსაზღვრულ განსახილველი კონცენტრაციების აღნიშნულ კრიტერიუმს აკმაყოფილებს.**

2. „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის 11[1] მუხლი, რომლის თანახმადაც, წინასწარ წერილობით შეტყობინებას ექვემდებარება კონცენტრაცია, რომლის მონაწილე ეკონომიკური აგენტის/აგენტების როგორც ინდივიდუალური, ისე წლიური ბრუნვა კონცენტრაციის განხორციელების წინა ფინანსური წლის განმავლობაში საქართველოს ტერიტორიაზე აღემატება კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესით დადგენილ ზღვრულ ოდენობას;
3. კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის მე-3 მუხლი, რომლის თანახმადაც წინასწარ წერილობით სავალდებულო შეტყობინებას ექვემდებარება კონცენტრაცია, თუ მისი მონაწილე ეკონომიკური აგენტების ერთობლივი (ჯამური) წლიური ბრუნვა საქართველოს ტერიტორიაზე, შეტყობინების წარმოდგენის ვალდებულების წარმოშობის წინა ფინანსური წლის მდგომარეობით, აღემატება 20 მილიონ ლარს და ამასთან, კონცენტრაციის მონაწილე მინიმუმ ორი პირიდან თითოეულის წლიური ბრუნვა აღემატება 5 მილიონ ლარს;

   საქართველოს ეროვნულ ბანკში ყოველთვიურად წარდგენილი კომერციული ბანკების ფინანსური ანგარიშგების მიხედვით, სს „კრედო ბანკისა“ და სს „ფინკა ბანკი საქართველოს“ ერთობლივი წლიური ბრუნვა (შემოსავალი) საქართველოს ტერიტორიაზე, შეტყობინების წარმოდგენის ვალდებულების წარმოშობის წინა ფინანსური წლის მდგომარეობით **294,606,101 ლარს შეადგენს,** ხოლო თითოეული მათგანის წლიური ბრუნვა არის: სს „კრედო ბანკის“ - **245,982,139 ლარი,** ხოლო სს „ფინკა ბანკი საქართველოს“ - **48,623,962** ლარი.

   შესაბამისად, აღნიშნული კონცენტრაცია კანონმდებლობით განსაზღვრულ განსახილველი კონცენტრაციების ამ კრიტერიუმსაც აკმაყოფილებს.
4. „კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესი“ და „ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებები“, რომლებიც განსაზღვრავს დაგეგმილი კონცენტრაციის შეფასების საკითხებს. აღნიშნული აქტები მოიცავს როგორც შესაბამისი ბაზრის, ასევე დაგეგმილი კონცენტრაციის შეფასების პრინციპებს, მეთოდებსა და კრიტერიუმებს.

III. კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შეფასება

საქართველოს ეროვნული ბანკის ანალიზი სრულად ეფუძნება როგორც კონცენტრაციაში მონაწილე ეკონომიკური აგენტების მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას, ასევე საქართველოს ეროვნული ბანკის ზედამხედველობას დაქვემდებარებული სუბიექტებიდან (კერძოდ, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებიდან და კომერციული ბანკებიდან) სტანდარტულად მიღებულ ფინანსურ ანგარიშგებებსა და სტატისტიკურ მონაცემებს.

<u>ბაზრის პროდუქციული ჩარჩო:</u>

სს „კრედო ბანკისა" და სს „ფინკა ბანკი საქართველოს" 2020 წლის აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების მიხედვით[2] (ფინანსური ანგარიშების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვითაა მომზადებული, შესაბამისად, უზრუნველყოფილია შედარებითობა), როგორც თითოეული მათგანის, ასევე, **მათი ჯამური ბრუნვის (შემოსავლის) დაახლოებით 90%-ს წარმოადგენს საპროცენტო ხასიათის შემოსავლებს (შემოსავლები, რომლის გენერაცია ხდება საკრედიტო პროდუქტებიდან).** შესაბამისად, განსახილველი კონცენტრაციის ფარგლებში და მისი შეფასების მიზნებისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ შესაბამის ბაზრად მიჩნეულ იქნა **სასესხო პროდუქტების ბაზარი,** რომელიც დაიყო ორ ნაწილად:

ა) **100,000 ლარამდე სასესხო პროდუქტების ბაზარი.** ამ ბაზარზე განხილულ იქნა საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკების და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების სესხები 100,000 ლარამდე. ბაზრის ამგვარი დაყოფა განპირობებულია მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისათვის დადგენილი შეზღუდვით, რომლის მიხედვითაც მათ მიერ გაცემული სესხის მაქსიმალური მოცულობა 100,000 ლარს შეადგენს. ამასთან, კონცენტრაციაში მონაწილე ეკონომიკური აგენტების სს „ფინკა ბანკი საქართველოსა" და სს „კრედო ბანკის" საკრედიტო პორტფელის [redacted]**%-ზე მეტს შეადგენს 100,000 ლარამდე სესხები.**

ბ) **100,000 ლარზე მეტი მოცულობის სასესხო პროდუქტების ბაზარი.** ამ ბაზარზე მხოლოდ კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხები იქნა განხილული მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისთვის სესხის მაქსიმალური მოცულობის შეზღუდვის გათვალისწინებით.

რაც შეეხება ბაზრის მოცულობის განსაზღვრას, მის საზომად საქართველოს ეროვნულმა ბანკმა გამოიყენა საკრედიტო აქტივების (სესხების) ღირებულება, რომლებიც ბაზრის განსახილველ სეგმენტებზე შეადგენს, **11,261,488,234** ლარს 100,000 ლარამდე ბაზრისთვის და **28,157,200,882** ლარს 100,000 ლარს ზემოთ ბაზრისათვის.

[2] იხ. ფინანსური ანგარიშგებები: https://www.nbg.gov.ge/index.php?m=674

ბაზრის გეოგრაფიული ჩარჩო:

სს „ფინკა ბანკი საქართველო“ წარმოდგენილია საქართველოს ყველა რეგიონში გარდა მცხეთა-მთიანეთისა და გურიისა, ხოლო სს „კრედოს ბანკს“ გააჩნია სერვის ცენტრები საქართველოს ყველა რეგიონში. გარდა ამისა, საქართველოს ეროვნული ბანკი ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ საკრედიტო მომსახურება წარმოადგენს ისეთ სერვისს, რომლის მიღებაც შესაძლებელია ელექტრონული სახითაც ან რომლის მისაღებადაც ფასის გათვალისწინებით ტერიტორიული მობილობა მაღალია. ჩამოთვლილი გარემოებებიდან გამომდინარე, შესაბამის გეოგრაფიულ ბაზრად მიჩნეულია საქართველოს ყველა რეგიონი.

ბაზრის დროითი ჩარჩო:

განსახილველ შემთხვევაში, ბაზარზე მომსახურების მიწოდება ხორციელდება უწყვეტ რეჟიმში, შესაბამისად ბაზარს არ გააჩნია კონკრეტული დროითი ჩარჩო.

ბაზრის მოცულობა და სტრუქტურა:

როგორც უკვე აღინიშნა, საქართველოს ეროვნული ბანკის ინფორმაციით, 2020 წლის დეკემბრის მდგომარეობით, კომერციულ ბანკებსა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებში საქართველოს მასშტაბით, 100,000 ლარამდე სასესხო პორტფელის მოცულობა შეადგენდა **11,261,488,234** ლარს, ხოლო კონცენტრაციაში მონაწილე სს „ფინკა ბანკი საქართველოს“ სესხების მოცულობა შეადგენდა [redacted] ლარს, რაც 100,000 ლარამდე საკრედიტო რესურსების მთლიანი მოცულობის [redacted]%-ს შეადგენს. კონცენტრაციის შედეგად მიღებული საბაზრო წილი შეადგენს საერთო მოცულობის [redacted]%-ს.

კომერციულ ბანკებში 100,000 ლარს ზემოთ სესხების საერთო მოცულობა, 2020 წლის ბოლოს, შეადგენდა **28,157,200,882** ლარს, საიდანაც სს „ფინკა ბანკი საქართველოს“ საკრედიტო პორტფელი შეადგენდა [redacted] ლარს, რაც შემდგომში გამოიხატება [redacted]%-იან წილში. კონცენტრაციის შედეგად მიღებული საბაზრო წილი შეადგენს საერთო მოცულობის [redacted]%-ს.

მთლიან საკრედიტო რესურსების ბაზარზე, კონცენტრაციის შედეგად მიღებული საბაზრო წილი შეადგენს **3.20%**-ს (სს „კრედო ბანკი“ - **2.70%**, სს „ფინკა ბანკი საქართველო“ - **0.5%**)

100,000 ლარამდე სასესხო პორტფელის მიხედვით გამოთვლილი ბაზრის კონცენტრაციის მაჩვენებელი „ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსი“ (HHI) შეადგენს **2,042.40** ერთეულს, რაც ბაზრის ზომიერად კონცენტრირებულობაზე მიანიშნებს. კონცენტრაციის შედეგად აღნიშნული მეთოდით გამოთვლილი „ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსი“ შეადგენს **2,070.79** ერთეულს. შესაბამისი ცვლილება (ΔHHI) შეადგენს **28.38** ერთეულს.

100,000 ლარს ზემოთ სასესხო პორტფელის მიხედვით გამოთვლილმა კონცენტრაციის მაჩვენებელმა (HHI) შეადგინა **3,006.23** ერთეული, რაც ბაზრის მაღალკონცენტრირებულობის მანიშნებელია. კონცენტრაციის შედეგად, შესაბამისი მაჩვენებელი თითქმის არ იცვლება, რას გულისხმობს იმას, რომ შესაბამისი ცვლილება $\Delta HHI = \mathbf{0}$ ერთეულს.

ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების 21-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით:

„თუ კონცენტრაციის შედეგად საქართველოს ან მის ნაწილში ეკონომიკურ აგენტთა ერთობლივი საბაზრო წილი არ აღემატება 25%-ს, ასეთი კონცენტრაცია არსებითად არ ზღუდავს ეფექტიან კონკურენციას“, ხოლო „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად: „კონცენტრაცია, რომელიც არსებითად არ ზღუდავს ეფექტიან კონკურენციას საქართველოს ან მისი ნაწილის სასაქონლო ან მომსახურების ბაზარზე, თავსებადია კონკურენტულ გარემოსთან.“.

ზემოაღნიშნულის მიხედვით, მოცემულ შემთხვევაში კონცენტრაციის შედეგად, მათი წილი ყველაზე კონსერვატიული შედეგის მომცემ ბაზარზე იზრდება მაქსიმუმ [redacted]**%-მდე** და ასეთი კონცენტრაცია არსებითად არ ზღუდავს ეფექტიან კონკურენციას და შესაბამისად კონცენტრაცია თავსებადია კონკურენტულ გარემოსთან.

ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების 21-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, თუ ერთსა და იმავე ბაზარზე მოქმედ ეკონომიკურ აგენტთა კონცენტრაციის შედეგად „ჰერფინდალ - ჰირშმანის ინდექსი“ 1250-დან 2250-მდეა და მისი ცვლილება არ აღემატება 250-ს ან „ჰერფინდალ – ჰირშმანის ინდექსი“ მეტია 2250-ზე და მისი ცვლილება ნაკლებია 150-ზე, მაშინ ასეთი კონცენტრაცია არ იწვევს ეფექტიანი კონკურენციის არსებით შეზღუდვას, გარდა იმ შემთხვევებისა თუ სახეზე არ გვაქვს ბრძანებით განსაზღვრული სხვა შემთხვევები.

როგორც დადგენილ გარემოებებშია განხილული, ყველაზე კონსერვატიული ბაზრის განხილვის შემთხვევაშიც კი, HHI ინდექსის ცვლილება შეადგენს **28.38 ერთეულს.**

იმ მიზნით, რომ კონცენტრაცია უფრო ვიწრო ბაზრის განმარტების შემთხვევაშიც შეფასებულიყო, რითაც მოხდებოდა მიმწოდებლის მხრიდან სეგმენტთა შორის თანაკვეთის უფრო ცხადად წარმოდგენა, მონაცემები 100,000 ლარამდე სესხების **მიკრო სეგმენტის კრიტერიუმითაც** იქნა განხილული, ვინაიდან კომერციული ბანკების მიკრო სეგმენტის პორტფელი და არასაბანკო საფინანსო ორგანიზაციების სრული პორტფელები არსებითად ერთმანეთის მსგავსია. ამ მიზნით, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების სასესხო პორტფელი სრულად და კომერციული ბანკების მიკრო სესხები 100,000 ლარამდე მიჩნეულ იქნა მიკრო სეგმენტად. ბაზრის ამ სეგმენტზე შეფასებულ იქნა შესაბამისი წილები, რაც სს „ფინკა ბანკი საქართველოსთვის“ [redacted]%-

იან, ხოლო კონცენტრაციის და შერწყმის შედეგად მიღებული სს „კრედო ბანკის“ [redacted]%-იან წილებში გამოიხატება. მოცემული ბაზრის შემთხვევაში, კონცენტრაციის შედეგად, ერთობლივი წილი იზრდება [redacted]%-მდე. მიკრო სეგმენტისთვის, ბაზრის კონცენტრაციის მაჩვენებელი (HHI) შეადგენდა 1,318 ერთეულს, რაც ზომიერად კონცენტრირებულ ბაზარს გულისხმობს. კონცენტრაციის შედეგად, „ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსი“ შეადგენს 1,494 ერთეულს, შესაბამისად ცვლილება (ΔHHI) შეადგენს 176 ერთეულს. ასეთი კონცენტრაცია არსებითად არ ზღუდავს ეფექტიან კონკურენციას და შესაბამისად კონცენტრაცია თავსებადია კონკურენტულ გარემოსთან.

ამასთან, სახეზე არ გვაქვს ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების 21-ე მუხლი მე-3 პუნქტით განსაზღვრული შემდეგი შემთხვევები:

„ა) კონცენტრაციაში მონაწილეობს პოტენციური კონკურენტი ან ბაზრის მცირე წილის მქონე ეკონომიკური აგენტი, რომელიც კონცენტრაციამდე ცოტა ხნით ადრე შემოვიდა ბაზარზე;

ბ) კონცენტრაციაში მონაწილე ეკონომიკურ აგენტთა ინოვაციური პოტენციალი კონცენტრაციის მომენტისათვის მოცემული ბაზრის სტრუქტურაში ასახული არ არის;

გ) სახეზეა ბაზრის მონაწილე სუბიექტებს შორის ჯვარედინი თანამონაწილეობა, რაც გულისხმობს ერთმანეთის წილების ფლობას და ხელმძღვანელი პირების მიმოცვლას;

დ) კონცენტრაციაში მონაწილე ერთ-ერთი ეკონომიკური აგენტის საბაზრო წილი მინიმუმ 50%-ია;

ე) სახეზეა ბაზრის მონაწილეთა შორის წარსულში არსებული არაერთჯერადი ხასიათის შეთანხმებული მოქმედებების ან სხვა ურთიერთხელშეწყობის ნიშნები;

ვ) კონცენტრაციაში მონაწილეობს ეკონომიკური აგენტი, რომელსაც აქვს რეალური შესაძლებლობა, არსებითად შეცვალოს ბაზრის არსებული სტრუქტურა;

ზ) სხვა ისეთი მოცემულობა ბაზარზე, რომლის არსებობა, მიუხედავად საბაზრო სტრუქტურისა და ეკონომიკურ აგენტთა წილების მაჩვენებლებისა, მიუთითებს იმაზე, რომ კონცენტრაცია შეიძლება იწვევდეს ეფექტიანი კონკურენციის არსებით შეზღუდვას.“.

IV. საქართველოს ეროვნული ბანკის დასკვნა

ზემოაღნიშნული გარემოებების შეფასებისა და ანალიზის საფუძველზე საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მიიჩნია, რომ სს „კრედო ბანკის“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 205232238) მიერ სს „ფინკა ბანკი საქართველოს“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 205235262) შეძენით განსახორციელებელი კონცენტრაცია თავსებადია კონკურენტულ გარემოსთან. საქართველოს ეროვნულმა ბანკმა აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებისას იხელმძღვანელა მოქმედი კანონმდებლობით, მათ შორის „კონკურენციის

შესახებ“ საქართველოს კანონით, „კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესით“, „ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებებით“, „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით, „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი სტანდარტებითა და წესებით.